პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 20 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 110 (808) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მეთაური—სამხკორი.

ჩვენს გაზეთს ბევრი კორესპონდენტები ყავს. ასეთებია სამხკორები, ტერკორები, ახკორები და პარტკორები.

ესენი თითქმის ყველა რიგის წითელ-არმიელებია. მაგრამ ჩვენ არ გვყავს მეთაური სამხკორები. არ იქმნა და არ მოხერხდა დღემდი ჩვენი მეთაურთა გაზეთის თანამშრომლობაში ჩაბმა. აქ შეიძლება გვისაყვედურონ „წითელი არმიელი" უმეტესად წითელ-არმიელთა გაზეთია, მეთაურებისათვის საყურადღებო და ჭკუის სასწავლი იქ არაფერია"! ჩვენ არ გვგონია, რომ ასეთ შეხედულებას ქონდეს ადგილი, მაგრამ თუ კი არსებობს ასეთი—ძლიერ ცუდია.

რომ მეთაურს ჩვენთან „არავითარი დამოკიდებულება არ აქვს—ეს მეტის მეტად შემცდარი აზრია. ავიღოთ და გავარჩიოთ.

ჩვენი მეთაური ახალგაზრდა წითელ-არმიელისაგან ამზადებს კარგ მებრძოლს. განა იგივე ამოცანა არ უდგას წინ ჩვენ გაზეთს! როგორც მეთაური ისე ჩვენი გაზეთიც ორთავე მიისწრაფვის ასწიონ წითელი არმიის ბრძოლის უნარი და გაამტკიცონ მისი რიგები.

ტყუილი აზრია თითქოს ჩვენი გაზეთი წითელ-არმიელის მარტო „პოლიტიკურ—საზოგადოებრივ წვრთნას აქცევდეს ყურადღებას და სამხედროს კი არა. სრულიადაც არა.

„წითელი არმიელი"-ს ამოცანას შეადგენს აღზარდოს ახალგაზრდა წითელ-არმიელისაგან არა მარტო შეგნებული მოქალაქე, არამედ კარგად გაწვრთნილი მეომარიც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წითელი არმია უპირველეს ყოვლისა მშრომელთა ხალხის შეიარაღებული ძალაა, რომ წითელ-არმიელები სამხედრო პირებია, რომლებმაც კარგად უნდა იცოდენ სამხედრო საქმე.

ამიტომაც, როგორც მთელი წითელი არმიის, ისე ჩვენი გაზეთის მთავარი ამოცანაა წითელი არმის სამხედრო მომზადება.

წითელ-არმიელთა სამხედრო მომზადების საკითხები კი მეტად რთული არიან, მოითხოვენ დიდ გამოცდილებას და დაკვირვებას.

ჩვენს გაზეთში არსებობს მუდმივი განყოფილება „სამხედრო საქმე", რომლის დანიშნულებაა სამხედრო ცოდნის პოპულიარიზაცია წითელ-არმიელებში, ერთგვარი დახმარების გაწევა მათთვის სამხედრო საქმის უკეთ შესათვისებლად.

მაგრამ ეს განყოფილება ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, ამის მიზეზია ის, რომ თვით წითელ-არმიელებთან უშუალოთ მომუშავე მეთაურები არ იღებენ ამაში მონაწილეობას, არ გვიზიარებენ თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ სამხედრო ხასიათის საკითხებზე. ეჭვს გარეშეა ხაწილის მეთაურს ყველაზედ უკეთესად შეუძლია გაზეთის საშუალებითაც უხელმძღვანელოს წითელ-არმიელთა სამხედრო მომზადების საქმეს. მან ხომ კარგად იცის ყველა იმ პირობების თავისებურობა, რომელშიდაც იძენს წითელი-არმიელი სამხედრო ცოდნას.

ამიტომაც სამხედრო საქმის დაყენებას ჩვენს გაზეთში უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მეთაურებისაგან. მათ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენი გაზეთის სამხედრო განყოფილების გაუმჯობესების და გაფართოვების საქმეში.

მეთაურიც უნდა გახდეს ჩვენი კორესპონდენტი. როგორც ნაწილში ისე ჩვენი გაზეთის საშვალებითაც მან უნდა იზრუნოს წითელ-არმიელის სამხედრო მომზადებაზე.

## ახალი რადიო-ამბები

### პროტესტი მაროკოს ომის წინააღმდეგ.

პარიზში მოხდა საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ. მიტინგზე მონაწილეობდა 15.000 მშრომელი. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს მაროკოს ბრძოლის უკანონობას, რომლის წინააღმდეგ პროლეტარიატი იბრძოლებს ყოველივე საშუალებით,



აბდ-ელ-ქერიმ.
მაროკოს აჯანყებულთა ხელმძღვანელი.



ამხ. ფრიდმანი.
ბულგ. კ. პ. ცეკას წევრი, რომელსაც სოფიის ტაძრის აფეთქების გამო დახრჩობა გადაუწყვიტეს.

### „ახალი" შეტევა საბჭოთა კავშირზე".

ამ სათაურით „დეილი გერალდში" დაბეჭდილია წერილი, რომელიც აგებულია გაზეთის კორესპონდენტის შემდეგ დეპეშაზე:

„სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ბრიტანეთის მთავრობამ წინადადება მისცა მოკავშირეებს გაუგზავნონ საბჭოთა მთავრობას საერთო ნოტა, რათა მან გასწყვიტოს ყოველი კავშირი კომინტერნთან და განდევნოს კომინტერნის აღმასკომი მოსკოვიდან".

წერილში აღნიშნულია, რომ ეს დეპეშა არ არის მოულოდნელი, ვინაიდან მთელი ევროპის დიდ ქალაქებში ძლიერდება საბჭოთა საწინააღმდეგო კამპანია. ეს კამპანია თანდათან გადადის დიპლომატიურ გამოსვლებში.

დასასრულ გაზეთი სწერს:

„მოსკოვისადმი მიმართულ ნოტამ უნდა გამოიწვიოს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ისეთი მოთხოვნილების წაყენების საშუალებით, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნება საბჭოთა მთავრობისათვის".

## დოუესის გეგმა საფრანგეთისათვის

დიდ იმედებს ამყარებდენ საფრანგეთში ახალი ფინანსთა მინისტრ კაიოზე. განსაკუთრებით მემარცხენე ბლოკი, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ კაიო გამოაჯანმრთელებდა ფინანსიურ მდგომარეობას და განამტკიცებდა ფრანკის კურს. მაგრამ სულ თავის ვლაპარაკობდით და ეხლაც ვამბობთ ჩვენ კომუნისტები: კაიოს გენია და გამოცდილება ფრანკის აღდგენას არაფერს ვერ უშველის, ვინაიდან ფინანსიური კრიზისი გამომდინარეობს საფრანგეთის დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ წყობილებისგან, რომლის დანგრევა კი არ სურს კაიოს, არამედ მისი განმტკიცება სწადია.

კაიომ ჯერ კიდევ ახალ მთავრობაში შესვლისთანავე განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია მსხვილი კაპიტალის დაპევრისა. უკვე ეს განცხადება საკმარისი იყო რომ იმ თავითვე გვეწინასწარმეტყველებია კაიოს ყოველგვარი ცდის უნაყოფობა. უკანასკნელად მოსული დეპეშები ნათლად ადასტურებენ ჩვენ შეხედულებას.

კაიომ სავსებით გაამართლა თავისი დაპირება. მან ხელი არ ახლო მსხვილ კაპიტალს.

სამაგიეროთ მისი ფინანსიური პოლიტიკა მძიმედ დააწვა მშრომელთა კლასებს. კაიომ გასცა ბრძანება სახელმწიფო ხარჯების შემცირების შესახებ. და აი ჩრდილოეთ რკინის-გზათა საზოგადოება სამუშაოდან ითხოვს ათასამდე რკინის გზელებს. რა არის ეს თუ არა ფინანსიური მდგომარეობის გამოკეთების სიმძიმის მუშათა კლასის კისერზე გადატანის ცდა. ეს ხომ იგივე ძველი გზაა, რომელსაც წინა მთავრობები მიმართავდენ. როგორც ვიცით ამ გზამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, გარდა კრიზისის მეტად გამწვავებისა.

და აი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში რომ არის საფრაგეთი, მას კვლავ აგონებს ვალების გადახდას მისი სულთამხუთავი მევალე—ამერიკა.

როგორც სჩანს ამერიკამ მაგრად მოუჭირა ხელი ამ ხანად საფრანგეთს." ეს უკვე სჩანს იქიდან, რომ ამერიკაში გამგზავრებას აპირებს თვით კაიო.

რას მოითხოვს ამერიკა საფრანგეთისაგან?—ვალების გადახდას. „არ შემიძლია ვალების გადახდა" უპასუხებს საფრანგეთი. „მაშ კეთილ ინებეთ და თქვენც მიიღეთ გერმანიასავით დოუესის გეგმა" ურჩევს ამერიკა.

და ასეთივე რჩევას ამერიკა აძლევს სხვა სახელმწიფოებსაც, იტალიას, ბელგიას, ჩეხო-სლოვაკიას და რუმინეთს, რომლებსაც აგრეთვე მართებთ ამერიკის.

ამ რიგად კაიოს მოსვლამ ვერაფერი ვერ უშველა საფრანგეთის ფინანსებს. კრიზისი იმდენათ გამწვავდა, რომ ამერიკის ბურჟუაზია დროულად სთვლის ისეთივე ოპერაციის მოხდენას საფრანგეთზე როგორც ეს გაუკეთა მან გერმანიას დოუესის გეგმით. რა არის დოუესის გეგმა საფრანგეთისათვის?—ეს არის საფრანგეთის მთელი მრეწველობის და წარმოების დაქვემდებარება ამერიკას კაპიტალის კანტროლის ქვეშ.

ჯერჯერობით საფრანგეთის ბურჟუაზია ძლიერ მოწადინებულია თავიდან აიცილოს ამერიკის ბრჭყალები. ახლო მომავალი გვიჩვენებს რამდენათ მიაღწევს ის ამას.

—მ.

## სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა.

### ამხ. კამენევის მოხსენება.

### ღონისძიებათა შესახებ საგლეხო მეურნეობის ასამაღლებლად და გასამტკიცებლად.

**საგლეხო მეურნეობის განვითარება.**

თავის მოხსენებაში ამხ. კამენევმა აღნიშნა საბჭოთა უმაღლეს ორგანოების ღონისძიებები სასოფლო მეურნეობის გასაძლიერებლად და შემდეგ გადავიდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაზე სოფლად.

**საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სოფლად.**

„საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სასოფლო მეურნეობის საქმეში მიმართულ უნდა იქნას ღარიბ და საშუალო შეძლებულ ელემენტებზე დახმარებისაკენ.

მათი გაერთიანება კოოპერაციისა და კრედიტების საშუალებით იხსნის სოფლის მეურნეობას [illegible] მევახშეებისაგან და ხელს შეუწყობს სოციალისტურ მეურნეობის აღმშენებლობას.

**მიწად მოწყობა.**

მიწად-მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

უამისოდ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება შეუძლებელია. ამ საკითხში შედის აგრეთვე ღარიბ რაიონების გლეხებზე სახელმწიფო ფონდის მიწების გადაცემა, თუ ეს მიწები მიზან შეწონილად არ იხმარებიან.

დაცულ უნდა იქნას კოდექსის უფლებები გლეხის უფლებებზე მიწით სარგებლობის თავისუფალ ამორჩევის შესახებ.

კოლექტიური ფორმები არ შეიძლება გატარებულ იქნას ბრძანების სახით.

ჩვენ უნდა გავავრცელოთ ეს ფორმები საჩვენებელი მეთოდით.

ამას გარდა საჭიროა გაძლიერებულ იქმნას სასოფლო მეურნეობის ინვენტარი რთული მანქანების, კერძოდ, ტრაქტორების შემოღებით. ამასთან სოფლის მეურნეობის კულტურის ასამაღლებლად მიღებულ უნდა იქნას ენერგიული ზომები თესლეულობის გასაუმჯობესებლად.

**„მაკრატელი" უნდა დაიკეტოს.**

[illegible] უნდა ვეცადოთ, რომ ქალაქის მრეწველობაზე ზიანის მიუყენებლად, დავაკმაყოფილოთ გლეხის პროდუქტი სამართლიანი ფასებით. ჩვენმა სწორმა პოლიტიკამ თითქმის გაუთანასწორა ერთმანეთს სოფლისა და ქალაქის პროდუქტების ფასები. ეს პოლიტიკა ჩვენ მომავალშიაც უნდა გავაგრძელოთ.

**გლეხის ნაწარმოების გატანა საზღვარ გარედ.**

გლეხობა მეტად დაინტერესებულია თავისი ნაწარმოების საგარეო ბაზარზე გატანით. ეს საკითხი საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას.

ამას გარდა უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მოუსავლიანობა არ ჯირითობდეს გლეხის ზურგზე. ამას შევძლებთ ჩვენ მეცნიერების საფუძვლებზე აგებულ სამელიორაციო მუშაობით.

**შეღავათები ხელოსნებს.**

ჩვენ უნდა გავატაროთ სოფლის ხელოსნებზე შეღავათების კანონები. უნდა გამოვიმუშაოთ ზომები კუსტარულ მრეწველობის გასაძლიერებლად ასეთი ზომები კი იქნებიან შეღავათიანი კრედიტი და სათანადო მასალებით მომარაგება

**საბჭოთა ძალაუფლებას + ელექტროფიკაცია + კოოპერაცია = სოციალიზმი.**

აგრარულ ქვეყანაში სოციალიზმის აგება ძნელი საქმეა. პირველად ჩვენ გვეშინოდა ახალი პოლიტიკის, ხომ არ იქნება ის კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებაო.

მაგრამ მაგალითიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ამით მოიგო სოციალისტურმა ელემენტებმა.

სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად მხოლოდ ერთი გამოსავალია: შექმნილ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის ახალი ფორმები. მართალი იყო ლენინი, როცა ამბობდა: „საბჭოთა ძალაუფლებას მიუმატოთ ელექტროფიკაცია—იქნება კომუნიზმიო“. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: საბჭოთა ძალაუფლებას მიუმატოთ ელექტროფიკაცია, მიუმატოთ კოოპერაცია—ეს არის სოციალიზმი“.

დეპუტატები უმართავენ კამენევს მხურვალე ოვაციას.

**კამათი კამენევის მოხსენების გარშემო.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს კრუპსკაიამ, სადირინმა, კულიკოვმა, შუპკორინმა, შვეცოვმა და სხვებმა.

**ამხ. კრუპსკაიას სიტყვა.**

„სოფლის მწარმოებელთა განვითარება მეტად ძნელი იქნება თუ მოსახლეობის კულტურული მდგომარეობა არ იქნება განვითარებული. ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის უკავშირებდა ერთმანეთს ეკონომიურსა და კულტურულ განვითარებას. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ელექტროფიკაციაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ პირველ ყოვლისა ამაღლებულ უნდა იქნას მოსახლეობის კუ- [illegible] მას ცოდნა, რომელსაც ის მოითხოვს. მე ვღებულობ უამრავ წერილებს, სადაც გლეხის შვილები მწერენ: „ბიცოლა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულო! გვიშუამდგომლე, რათა გაგვიხსნან სკოლა.“ სოფლისაკენ პირის მიბრუნება ნიშნავს იმას, რომ მოკლე დროში მივსცეთ სოფელს განათლება და აღვზარდოთ სოფლის მუშაკები, რომლებიც დაეხმარებიან გლეხობას. მე ვისურვებდი, რომ მიგვეცა სოფლისათვის ის განათლება, ურომლისოდაც სახალხო მეურნეობის აღორძინება ძნელი იქნება“.

სალამოს სხდომაზე გაგრძელებულ იქნა კამათი, რის დასრულების შემდეგ ყველა დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს კამენევის მიერ შემოტანილი რეზოლიუციის პროექტი. შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა კამენევი.

**ამხ. კამენევის საბოლოო სიტყვა**

საბოლოო სიტყვაში კამენევმა აღნიშნა, რომ ღონისძიებებს სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში დიდის ერთსულოვ. შეხვდა ყრილობა. ეს იმის თავდებია, რომ ეს ღონისძიებანი გატარებულ იქნება ცხოვრებაშიო. შემდეგ კამენევი შეეხო დეპუტატების შენიშვნებს, რომ შეუძლებელია მთელი კავშირის ტერიტორიაზე გავრცელებულ იქნას ერთნაირი ზომებიო და განაცხადა: „ცხადია შეცდომა იქნებოდა გაგვეტარებია ყოველგან ერთი და იგივე ზომა. ჩვენ აქ ვაწესებთ საერთო პრინციპებს გლეხის მეურნეობის ასამაღლებლად. რაც შეეხება კლიმატიურს, ეროვნულსა და ყოფაცხოვრებითი სხვადასხვაობას, ყოველ რესპუბლიკაში იმყოფება საკუთარი მიწადმოქმედების კომისარიატები. იმათ პრაქტიკულად უნდა გაახორციელონ ის ზომები, რომლებზედაც ჩვენ მიუთითებთ, და რომლებიც არსებითად სასარგებლოა ჩვენი კავშირის ყველა ნაწილებისათვის.“

კამენევმა აღნიშნა, რომ ყველა დეპუტატები ჩერდებოდენ მიწად-მოწყობის საკითხზე.

ყველა ეს ამტკიცებს, რომ მთავრობა სრულიად სამართლიანად აყენებს მიწად-მოწყობის საკითხს ყურადღების ცენტრშიო.

„ჩვენ—განაცხადა მომხსენებელმა—ანგარიშს ვუწევთ იმას, რომ გლეხობა თავისი ძალით ვერ შესძლებს მიწად-მოწყობის ამოცანების შესრულებას. ამიტომ მიწად-მოწყობის ხარჯების ნაწილი გადატანილ უნდა იქნას სახელმწიფოს ხარჯზე. ამას გარდა პროექტში ნაჩვენებია, რომ გადიდებულ და გაიაფებულ უნდა იქნას კრედიტი მიწად-მოწყობის საქმეზე. ეს გადაწყვეტილება უსათუოდ წასწევს წინ ჩქარი ნაბიჯით მიწად-მოწყობის ამოცანებს.“

დასასრულ კამენევმა განაცხადა: „ჩვენი ძალა დაიბადა და გაიზარდა იმის მეოხებით, რომ მუშები და გლეხები ჩვენს ყრილობებზე ლაპარაკობენ თავიანთ საჭიროებაზე, გამოსთქვამენ თავიანთ აზრს და გამოაქვთ გადაწყვეტილება ცხოვრების სინამდვილესა და მათ გატარების შესაძლებლობასთან შეფარდებით. ჩვენი პოლიტიკა არის პოლიტიკა სოციალიზმის აშენებისა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით“.

ყრილობამ საფუძვლად მიიღო კამენევის რეზოლიუცია. რეზოლიუციის დასამუშავებლად ყრილობამ აირჩია 53 კაცისაგან შემდგარი კომისია.

# ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

ამას წინად მოსკოვში თავისი მუშაობა დაამთავრა გლეხთა ინტერნაციონალის გაფართოებულმა პლენუმმა, სადაც დაესწრენ მსოფლიოს 34 კუთხის გლეხთა წარმომადგენლები.

პლენუმმა გაარჩია გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობის მრავალი საკითხები.

გლეხთა ინტერნაციონალს საფუძველი ჩაეყარა ქ. მოსკოვში 1923 წლის შემოდგომაზე, რომლის გენერალურ მდივნათ არის ამხ. დომბალი. ამ მცირე დროის განმავლობაში გლეხინტერნის მიერ გატარებულია დიდი მუშაობა მშრომელი გლეხების საკეთილდღეოთ.

ზემოხსენებული პლენუმის დამთავრების შემდეგ გაემგზავრენ ს. ს. რ. კავშირის სხვადა სხვა მხარეში დელეგატები იტალიიდან ამხ. მილოლი და მასარენტი, რომლებიც ადგილობრივ ეცნობოდენ გლეხების მდგომარეობას, კოოპერატივების მუშაობას და სხ.

ამ რამოდენიმე დღის წინად ქ. თბილისში ჩამოვიდენ დელეგატები იტალიიდან და გლეხთა მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები იტალიაში, ამხ. მილოლი, მასარენტი და სხვ. მათ მიზანს შეადგენს, ჩამოიარონ საქართველოს სხვა და სხვა მაზრე ის სოფლები და დაწვრილებით გაეცნონ ადგილობრივათ სასოფლო-მეურნეობასა და გლეხთა მდგომარეობას, კოოპერაციების საქმიანობას სოფლათ, კომუნების მუშაობას და სხვ.

დელეგატები ამასთანავე ერთად ეცნობიან ქარხნებისა და ფაბრიკების მუშაობას ქალაქათ და მუშებისა გლეხების კავშირს.

დელეგაციამ უკვე იმოგზაურა კახეთში. მათზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობის აქტივობამ ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმეში და დღევანდელი ჩვენი სოფლის სწრაფმა წინსვლამ მის მეურნეობის ყოველ დარგში.

მ.—ი.

# ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ.

ორშაბათს, 18 მაისს გაიმართა ტფილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომები. სხდომები შესდგა ყველა სექციებში.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ.

სამხედრო სექციის მუშაობის დღის წესრიგში იდგა ოთხი საკითხი: 1-ლი—სექციის მუშაობის მომავალი გეგმა, მეორე—საინფორმაციო მოხსენება საინჟინერო დისტანციის უფროსის, დემობილიზაცია ქმნილთა წარმომადგენლის მოხსენება და მიმდინარე საკითხები.

პირველად სექციამ მოისმინა საინჟინერო დისტანციის უფროსის

**საინფორმაციო მოხსენება.**

მომხსენებელი ეხება ჯარების დღევანდელ მდგომარეობას კეთილმოწყობის მხრივ და აღნიშნავს, რომ კომუნალური სამსახურით ჯარის ნაწილები სარგებლობენ ორი წყაროდან: 1-ლი სახელმწიფო ბიუჯეტი და მეორე—ადგილობრივ აღმასკომების ბიუჯეტზე. ამჟამად სექციისათვის საჭიროა იცოდეს თუ რას აძლევენ ჯარებს ადგილობრივი აღმასკომები. ადგილობრივიაღმასკომები ჯარებს აკმაყოფილებენ მხოლოთ კომუნალურ დარგში, ე. ი. აწოდებენ წყალს, სინათლეს, ბინებს, ისტუმრებენ საბინაო გადასახადებს; აწარმოებენ სხვა და სხვა შეკეთებებს და სხვა. დღეს დღეობით კი ჯარს ეჭირვება დახმარება

**მიმდინარე წვრიმალი შეკეთებებისათვის.**

ძველი დროის გამოცდილებით ამგვარი საქმეებისთვის (წვრიმალი რემონტი) გამომუშავებულია განსაზღვრული ნორმები და დღეს სექციამ უნდა მოითხოვოს რომ ჩვენ დაგვაკმაყოფილონ მინიმუმის ფარგლებში მაინც.

ამის შესახებ საქ. უმ. ეკონომიურმა საბჭომ უკვე გამოიტანა თავის გადაწყვეტილება, სადაც მიმდინარე შეკეთებებისათვის გათვალისწინებულია გაიღოს 84 ათასი მანეთი.

სექციამ, აღნიშნული მოხსენების გამო დაადგინა იშუამდგომლოს, რომ უმაღლეს ეკონომიური საბჭოს გადაწყვეტილება გატარებულ იქნეს ცხოვრებაში, რადგანაც ეს შეადგენს ჯარის მოთხოვნილებათა მინიმუმს.

სექციაზე მეორე საკითხათ მოსმენილ იქნა

**მოხსენება დემობილიზაცია ქმნილთა წარმომადგენლის.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეს უვადო შვებულებაში გაშვებულ წითელ არმიელთა მდგომარეობა ფრიად მძიმეა. ამჟამად შრომის ბირჟაზე ირიცხება 166 უმუშევარი უვადო შვებულებაში წასული. წინეთ კი იყო 198. იყო ცდა რომ დავხმარებოდით მათ და ამ მიზნით ჩვენ გამოვითხოვეთ შრომის სახ. კომისარიატისაგან 2 ათასი მანეთი, ვმართავდით წარმოდგენებს და სხვა. ამჟამად [illegible] შევრებისათვის ჩოთქების საკეთელი შრომის კოლექტივი და ერთი სიტყვით ვფიქრობთ მივიღოთ მთელი რიგი ზომებისა, რომ უმუშევრობა სრულებით მოვსპოთ მათ რიგებში.

აღნიშნული მოხსენების გამო სექციამ დაადგინა:

იშუამდგომლონ ქალაქის აღმასკომის საშუალებით საქ. ცაკის წინაშე, რათა შრ. ბირჟასთან არსებულ დემობილ. გაშვებულთა სექციას აღმოეჩინოს დახმარება უმუშევართა სამშობლოში გასაგზავნათ, იშუამდგომლონ სოც. უზ. კომისარიატის წინაშე სათანადო დახმარებისათვის, იშუამდგომლონ შრომის ბირჟასთან, რომ პირველ რიგში გაგზავნონ სამუშაოებზე უვადო შვებ. წასული წითელ არმიელები, დაეხმარონ დაავადმყოფებულ წითელ არმიელებს და მათ ოჯახის წევრებს, იშუამდგომლონ მილიციის და რკ. გზ. რაზმის წინაშე, რომ სამსახურში იქნან მიღებული უვადო შვებულებაში წასული და სხვა.

დასასრულ, მიმდინარე საკითხებში სექციამ მოისმინა, საბანაკოთ გასული ნაწილებისათვის

**წყლისა და სინათლის მიწოდების**

შესახებ განცხადებები, და დაადგინა რომ იქნეს აღძრული შუამდგომლობა ტფ. ქალაქის აღმასკომის წინაშე, რათა საბანაკოთ გასულ ნაწილებს ეძლეოდეთ პირველიც და მეორეც დაუბრკოლებლივ.

დ.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

**გრანატების საბრძოლო ტყორცნის სწავლება საბანაკო პერიოდში.**

როცა ყველა მეომრები გაივლიან მოსამზადებელ ვარჯიშობას, ყოველ ნაწილში შეუდგებიან ერთ-ერთ შემდეგ სწავლებას: იერიშს, ან თავდაცვას იმისდა მიხედვით თუ რა ტიპის გრანატები მოეპოება ნაწილს—შეტევითი თუ მოგერიებითი ტიპის.

**იერიშის სწავლება.**

დამზადებულ თხრილში აწყობენ სანიშნოებს, რომლებიც გამოხატავენ მტერს. სანიშნოები ეწყობიან ისე, როგორც ნამდვილ ბრძოლაში. თხრილებიდან 35 მეტრის მანძილზე ეწყობა ცალკეულ თხრილების მთელი რიგი წოლილა სროლისათვის. ეს არის ცეცხლის ხაზი. იერიშზე გადამსვლელი ათეული ეწყობა 300—400 მეტრზე ცეცხლის ხაზიდან. თვითეულ მეომარს აქვს პარკში თითო შეტევითი ტიპის გრანატაა. აქ მეომრებს ურიგდებათ დეტონატორები, რომლებსაც ჩასდებენ პარკში და ათეული იწყებს შეტევაზე გადასვლას. ერთ-ერთ შესასვენებელ ადგილზე გრანატებს სტენიან და კვლავ სდებენ პარკში.

რამოდენიმე ნაბიჯზე ცეცხლის ხაზიდან მსროლელები ამოიღებენ გრანატებს, მიდიან ცეცხლის ხაზზე და გასტყორცნიან მათ, ხოლო თვითონ გრანატის აფეთქების დროს ჩაწვებიან თავიანთ თხრილებში.

გრანატების ტყორცნა ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ნამდვილ ბრძოლაში, გრანატის გატყორცნის შემდეგ მსროლელები არ წვებიან, არამედ სწრაფად და შეუჩერებლივ მიდიან წინ იერიშზე ხიშტებით.

**მოგერიების სწავლება.**

სასროლ მინდორზე ათეულისათვის კეთდება სრული პროფილის თხრილი საფეხურებით. თხრილში მოთავსდებიან მსროლელები (ათეული) თოფებითა და გრანატებით პარკში (თითო მოგერიებითი ტიპის გრანატით.) დეტონატორები ურიგდებათ სწავლების წინ, მსროლელთა თხრილში მოთავსების შემდეგ. სწავლების დაწყებისას 100—200 მეტრის მანძილზე მათ დაანახებენ უცებ გამოჩენილ სანიშნოებს, რომლებიც მყისვე მიიმალებიან. მსროლელები ესვრიან მათ თოფებიდან (ამათ ვაზნებით). შემდეგ ასეთივე სანიშნოები თანდათან გამოჩნდებიან და მიიმალებიან თხრილის მახლობლად. განსაზღვრულ დროს დაამზადებენ გრანატებს. როცა სანიშნოები გამოჩნდებიან 30—35 მეტრის მანძილზე თხრილიდან, მსროლელები, მასწავლებლის განკარგულებისთანავე—: „გრანატები“!—ერთსა და იმავე დროს გადისვრიან გრანატებს გაწვდილი ხელით და მოაფარებენ თავს თხრილს.

ამით თავდება საბრძოლო გრანატების ტყორცნის კურსი. ამრიგად, ორივე შემთხვევაში, შეტევისა ან თავდაცვის დროს, იქმნება ისეთი გარემოება, რომელიც ემსგავსება ნამდვილ საბრძოლო გარემოებას; ხოლო აქ განსხვავება იმაშია, რომ სწავლების დროს მეომრები თხრილს ეფარებიან, რათა არ მოხვდენ გრანატის ნამტვრევები, ნამდვილ ბრძოლაში კი ამაზე ფიქრი არ მოგიხდება.

პ.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

**გაზებისაგან თავდაცვა.**

უკანასკნელ წერილებში გაზებისაგან თავდაცვის შესახებ ნათქვამი იყო, თუ როგორ უნდა დაიცვას მეომარმა თავი გაზებით შემოტევის დროს; მაგრამ ამით საქმე არ თავდება, ვინაიდან გამოშვებული „ქიმიური“ მტერი-გაზი მხოლოდ მაშინ იქნება სავსებით მავნები, როცა ის სრულებით მოისპობა.

პირველ ყოვლისა მოსპობილ და უვნებელყოფილ უნდა იქნას იარაღზე და ტანისამოსზე შემოკმეული გაზი, ვინაიდან მოწამლული იარაღი და ტანისამოსი სიკვდილის საფრთხეს უქადის მეომარს.

მოწამლულ ტანისამოსის უვნებელ საყოფად, ის გარეცხილ უნდა იქნას საპნით და სპეციალურ სითხით. თუ ეს არ შეიძლება, მავნებელ გაზის მოქმედებას სპობენ რამოდენიმე ტანისამოსის გარეცხით ჩვეულებრივი ნაცრის ხსნილში, შემდეგ აშრობენ და ძლიერ ახურებენ კოცონზე. ცხადია ტანისამოსი ასეთი გახურებით ფუჭდება და გაზის მომწამვლელი მოქმედება სავსებით არ ქრება, მაგრამ თუ არ არის საშუალება გამოიცვალო ტანისამოსი ან ამორეცხო ის სპეციალურ სითხეში, მაშინ ეს საშუალებაც კარგია და აუცილებელი.

რაც შეეხება იარაღის მოწამვლას, მისი საჩქაროდ უვნებელ ყოფის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ასეთი იარაღი არამც თუ მხოლოდ სწამლავს მეომარს, არამედ მომწამვლელი გაზის მოქმედებით თვითანაც ფუჭდება, ჟანგდება და გამოუსადეგარი ხდება.

გაზით მოწამლული იარაღი საჩქაროდ უნდა დაშალო, გააშრალო ქლორიანი კირით და გასწმინდო, ხოლო შემდეგ უნდა წაუსვა ჩვეულებრივი თოფის ზეთი. მაგრამ ზეთის წასმის შემდეგ თვალყური უნდა ადევნო და თუ იარაღზე აღმოჩნდება ჟანგი, ხელახლად უნდა დაშალო, გააშრალო, კვლავ უნდა წაუსვა ზეთი და ასე შემდეგ. თუ რომ ამის შემდეგ თოფს ჟანგი არ მოედება ეს იმას ნიშნავს, რომ იარაღი სავსებით უვნებელ ყოფილია.

იარაღის უვნებელ საყოფად გაწმენდის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ გასაწმენდად დაშალა საჭიროა როგორც ხელის იარაღის—რევოლვერის, თოფის და სხვა, ისე ავტომატების, ტყვიამფრქვევებისა და სხვა იარაღების. უვნებელ ყოფის მიზნით გაწმენდილ უნდა იქნას აგრეთვე ცივი იარაღი, გრანატები, ბომბები და არტილერიის ჭურვები. ისეთი ტანისამოსის (მარაგის) ჩაცმას, რომელსაც შეეხო აგრეთვე გაზის მოქმედება, არავითარი აზრი არ აქვს, ვინაიდან ისიც მოწამლულია.

ლ. ვორონოვი.

# ახკომკავშირელთა შორის

### მუშებთან ერთად.

ქალაქ თბილისის წყალსადენის კომკავშირის უჯრედთან ერთად 12 მაისს შესდგა მეექვსე ტერლეგიონის კომკავშირის პირველი უჯრედის გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) 14 პარტკონფერენციაზე ამხ. ზინოვიევის მოხსენების გაშუქება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; 2) წითელი ფლოტის მნიშვნელობა და მოცანები, და მიმდინარე საკითხები.

ორთავე საკითხებზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ჩვენი ლეგიონის პარტსკოლის ხელმძღვანელი ამხ. ჭანტურიშვილი.

ამხანაგი დიდხანს შეჩერდა განსაკუთრებით წითელი მეზღვაურების მუშაობაზე ჯერ კიდევ კინტოლისა და ციმერვალდის კონფერენციაზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებებს, რომლებიც მოითხოვენ საბჭოთა წითელი ფლოტის ძალების გაძლიერებას.

მოხსენება გადათარგმნილ იქნა ამხ. ხოჯაევის მიერ რუსულ ენაზე, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ კრება მთელი თავისი არსებით შეუწყობს ხელს წითელი ფლოტის გაძლიერების საქმეს.

პარტკონფერენციის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში კრება უსურვებს კომუნისტურ პარტიას გამარჯვებას მსოფლიოს მუშათა კლასის მყვლეფელთა სავალალოდ.

ახკორი ტერ—გევონდიანი.

# წვევამდელთა შორის.

### იმედები გაამართლეს.

**მესამე ათასეულის ოზურგეთის წვევამდელთა წერტი.**

მეხუთე ლეგიონის მესამე ათასეულის ოზურგეთის წერტზე მყოფ წვევამდელებმა უკვე დაამთავრეს მთელი სამეცადინო საათები.

5 მაისს გამოცდებმა, რომელიც მიმდინარეობდა ათასეულის თავის ხელმძღვანელობით, აშკარად დაგვანახა, რომ წვევამდელებთან მუშაობამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. ორიოდე კაცის გამოკლებით გამოცდები ყველამ ბრწყინვალეთ ჩააბარეს.

არაფერში არ მოუსუსტებიათ ამხანაგებს. ისინი ერთნაირად გადიოდენ, როგორც სამწყობრო—სამხედრო საქმეში, ისე პოლიტცოდნაშიც.

ათასეულის სხვა წერტებზე გამოცდები მიმდინარეობს ამ ჟამად. იმედია აქაც ასეთივე შედეგებით დამთავრდება ისინი. ამის თავდებია ჩვენი მეთაურების მიერ გაწეული ენერგიული მუშაობა და ის ინტერესი, რომელსაც წვევამდელები იჩენდენ სწავლების დროს.

სამხკორი ყულისკარელი.

**მწვევამდელთა მომზადება დუშეთის მაზრაში.**

აღნიშნულ მაზრაში 1903 და 1904 წ. წ. დაბადებულ ახალგაზრდობის მწვევამდელთა მომზადებას აწარმოებდა მაზრაში მდგომი მე-6-ე მსროლელი ტერლეგიონის № ასეული.

მაზრა დაყოფილი იყო ორ წერტად: ერთი ქალაქის და მეორე სოფ. მუხრანის.

**ქალაქის წერტი.**

ქალაქის წერტში სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა დაიწყო 20 თებერვლიდან და დასრულდა 3 მაისს. ამ მოკლე ხნის განმავლობაში წვევამდელებმა ბევრი რამ შეიძინეს.

სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობას მთავარი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, რომელიც სწარმოებდა პროგრამებისდა მიხედვით. მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, რაც დაამტკიცა გაშვების წინა დღით მომხდარმა გამოცდებმა.

პოლიტ მეცადინეობას წვევამდელები გულმოდგინეთ ეკიდებოდენ და დაინტერესებულნი იყვნენ რაც შეიძლება მეტი შეეძინათ.

ასეულის სამკითხველო აწარმოებდა მათ შორის წიგნების და გაზეთების ხმა მაღალ კითხვას და ლენინის კუთხეში პოლიტიკური შინაარსის საუბრებს. ასეულში ყოველგვარი სადღესასწაულო კომპანიები ტარდებოდა წვევამდელებთან ერთად.

ასეულში დაარსებული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაზრის პოლიტგანი. ყოველგვარ დახმარებას გვიწევდა წიგნებით რვეულებით და ფანქრებით.

ამ ხნის განმავლობაში სრულიად წერა-კითხვის უცოდინარებმა შეისწავლეს წერა-კითხვა, საჭიროა ამ ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება რასაც იმედია პოლიტგანი მიიღებს მხედველობაში.

**მუხრანის წერტი.**

აღნიშნულ წერტში სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა დაიწყო უფრო გვიან, სახელდობრ 13 აპრილიდან. მწვევამდელების შეკრებამდე ადგილობრივი რაიონული კომიტეტის დახმარებით ჩატარებული იქმნა სათანადო კამპანიები შეკრების მნიშვნელობის და მწვევამდელთა მომზადების აუცილებლობის შესახებ. შეკრებაზე ყველა გამოცხადდა, და გულმოდგინეთ შეუდგენ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეთვისებას.

ასეულის შემადგენლობიდან გამოყოფილ იქმნა ერთი მეთაური და 4 წითელი მოლაშქრე, რომლებიც აწარმოებდენ სამხედრო მეცადინეობას.

პოლიტ მეცადინეობისათვის კი ადგილობრივი ახკომკავშირის რაიკომის მიერ გამოყოფილი იქმნა ორი აქტიური კომკავშირის წევრი, და ყოველდღიურად აწარმოებდენ პოლიტსაათს, მიცემული დირექტივების თანახმად.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ წერტზე შეკრება მოხდა შედარებით გვიან, მეცადინეობამ მაინც დამაკმაყოფილებელი ნაყოფი გამოიღო.

სამხკორი ახათიანი.




გამოცდებისათვის ყველა თავგამოდებით მეცადინეობდენ.

14 მაისს დაიწყო გამოცდებიც, რომელიც გაგრძელდა სამ დღეს.

სკოლაში ყოფილი კურსანტების შტატით მიღებული იქნა 41 კაცი.

ჩვენ ვიცით თუ როგორი მოვალეობა გვაწევს თავს სკოლაში მიღების შემდეგ. ამას ყველა გრძნობს და მთელი ჩვენი არსებით ვსცდილობთ, რომ გავამართლოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლების იმედები.

იმედია ჩვენი ხელმძღვანელები ამხანაგურად ამოგვიდგებიან გვერდში და მათი საშუალებით მოგვეცემა შესაძლებლობა გამოვიდეთ წითელი ჯარის სათანადო აღმზრდელები.

სკოლის მიზნები ჩვენთვის წმინდათაწმინდაა. მთელ ძალღონეს მოვახმართ მის განხორციელებას.

ახალი კურსანტი მიხო ცქიფურიშვილი.

# „თვალებს დაუბნელებ მშრომელი ხალხის მტრებს".

### პირველი ლეგ. მეხუთე ასეული სროლაზე.

მშვენიერი დილა იყო. ლეგიონის მეხუთე ასეული საველე ვარჯიშობისათვის გამზადილი მძიმე და მსუბუქი ტყვია მფრქვევებით გაემგზავრა იმ ადგილისაკენ, სადაც უნდა მოწყობილიყო მიზანზე სროლა,

დაყრუებული ქუჩები გაამხიარულა ასეულის ყიჟინამ. სიხარულით მივემართებოდით იმ ადგილისაკენ, სადაც უნდა გამოგვეცადა თავი და დავრწმუნებულიყავით მიზანში სროლის სიძლიერეში. ყველას იმედი ჰქონდა თავისი თავის.

მივაღწიეთ დანიშნულ ადგილსაც.

გავიყავით ორ ნაწილად. პირველი ემზადება მიზანში სროლისათვის—მეორე ისვენებს.

... ტა... ტააატტააა..ტტაა....

ერთბაშად მოყვა ტყვიამფრქვევების ტკრიანცელი უფროსის მიცემულ ბრძანებას.

დადუმებული მიდამო გამოეხმაურა სროლას.

...ცოტა პაუზა... კიდევ ბრძანება და მსროლელთა მთელი ჯგუფი ცნობის მოყვარეობით შეპყრობილი სირბილით გაექანენ მიზნისაკენ.

...უმეტესობა სიხარულით ცას სწვდება ....ტყვიები მიზანშია ჩასმული," გაიძახიან ელტაცებით.

მაგრამ ვანომ მისვლისთანავე ხელები მძიმედ ჩამოუშვა ძირს და აღფრთოვანებული სახე მოეღუშა. სირცხვილის სიწითლე ალივით ედებოდა მის სახეს.

—რაა ვანო, ხომ მოარტყი?-შეეკითხა ამხანაგი.—არა დამიცილებია—უპასუხა მან ყრუდ და იქვე შეჰფიცა ამხანაგს:

—ხელებს მოვიჭრი, ხელებს თუ, თუ, ისე არ ვისწავლე სროლა, ერთიც არ დავაცილო მიზანს".

ეს სთქვა და ვანო გამობრუნდა. ასეულის თავს და ყველა ამხანაგებს მთელი დღე უმეორებდა და იფიცებოდა ვანო, რომ შემდეგში აღარ შერცხვება. ის ისწავლის მიზანში სროლას და თუ შემთხვევა მიეცა თვალებს დაუბნელებს მშრომელი ხალხის მტრებს.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

# ახალი ძალები.

### სამხედრო პოლიტსკოლა.

ორი კვირა შესრულდა მას შემდეგ, რაც სამხედრო პოლიტსკოლაში მოვედით ახალი კურსანტები. ჩვენთან ერთად სკოლაში არიან აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი ამხანაგებიც.

# ახალი უნცროსი მეთაურები.

უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლა დაარსდა გ. წ. დეკემბერში. პირველხანებში სკოლაში ითვლებოდა რამოდენიმე კურსანტი. შემდეგში გაადიდეს შტატი და სკოლა შეივსო ახალი კურსანტებით.

კურსანტები სკოლას ამთავრებენ მ. წ. მაისში, რის შემდეგ წავლენ სამუშევრათ, უნცროს მეთაურებათ ბატარეებში.

მეცადინეობის დროს კურსანტებს ბევრი დაბრკოლებები ელობებოდათ წინ: არ იყო სამეცადინო რუქები, ბინა სკოლისათვის, სასადილო და სხ. მთელი ჩვენი მეცადინეობა გატარებულ იქნა თვით ყაზარმაში, სადაც უკანასკნელათ მოვაწყვეთ ლენინის კუთხე.

ვუსურვებ ახლათ სკოლა დამთავრებულ კურსანტებს, რომ არ დაიზოგოთ არავითარი შრომა წითელი არმიის პოლიტიკურად და ეკონომიურად განმტკიცებისათვის.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

# დიდ საქმეს ადრე მოგვარება სჭირია.

17 მაისს ჩვენი საარტილერიო ლეგიონი მთელი თავისი შემადგენლობით გავიდა საბანაკოთ. წითელ არმიელები ძლიერ მოხარული იყვნენ, როდესაც მიდიოდენ საბანაკოთ. ყველას გვეგონა რომ იქ ყველაფერი თავის რიგზე დაგვხვდებოდა. მაგრამ ეს არ გამართლდა.

როდესაც ჩავედით №—სოფელში, სადაც უნდა დავბანაკებულიყავით...

# ვინახულეთ ზაჰესი.

### პირველი ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად ლეგიონის საკავშირო გუნდის შტაბის წითელი არმიელები და ზოგიერთი სხვა ასეულებიდანაც გავემგზავრეთ ზაჰესის დასათვალიერებლად.

ექსკურსიას ხელმძღვანელობდა საკავშირო გუნდის უფროსი და პოლიტხელი ამხ. შონია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ზაჰესმა.

რამდენი მუშა ხელი, რამდენი უცნაური სამუშაო. განსაკუთრებით ძლიერ გაგვაკვირვა მთავარი კარჩხალის და საგუბარის დაწვრილებითი დათვალიერებამ.

საკეტავში გადაშვებული მტკვარი ფაფარ აყრილი გაშმაგებული ღომივით მიჰქრის და ეხეთქება დუღაბით გაკეთებულ კედლებს.

მტკვარი აქ თითქოს ჯავრობს, თავის გულს ასკდება რომ ასე ვიწრო კალაპოტში მოუქცევიათ, ღრიალებს და ნაგლეჯებათ იმსხვრევა კედლებზე.

მაგრამ მის ხმაურს არავინ აქცევს ყურადღებას.

ჩვეულებრივი ტემპით, გრძელდება მუშაობა.

შეკუმშული გაზით მომუშავე ქვის სახვრეტი მანქანები დაუზარებლად ჩხრიალებენ:

მრავალი მუშები ჰიანჭველებივით ირევიან, ზოგი მიწას სჭრის, ზოგი პატარა რონოდებით ქვებს ეზიდება და ზოგს დამზადებული დუღაბი მოაქვთ ბურჯებისათვის და თან „ხაბარდას" გაიძახიან, წინ გადამდგარ ხალხს—მნახველებს აფრთხილებენ ჩამოგვეცალეთო.

ერთი წუთიდაც არ სწყდება მუშაობა.

მთავარი არხის სათავეში უწყალოდ იმტვრევა პიტალო კლდე.

გაგუბებული მტკვარი აი იმ რკინის გზის პირამდე ავაო—გვეუბნება ერთი და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა აქვს.

ვინახულეთ აგრეთვე მექანიკური უზარმაზარი მიწის სათხრელი ნიჩბები.

ისინი აუჩქარებლად ჰგლეჯდენ მიწის ნაფლეთებს და გადაჰქონდათ გვერდზე.

აი ადგილიც, სადაც უნდა აიგოს ელექტრო სადგური. აქაც გაცხარებული მუშაობა სწარმოებს.

აქ მიღებული შთაბეჭდილება ძნელად თუ ოდესმე ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

ძლიერ დაგვაინტერესა ჯვარის მონასტერმა, რომელიც ქორივით დასცქერის იქაურობას. გავსწიეთ იქითკენაც. შეუდექით მაღალ მთას; როგორც იქნა მივაღწიეთ მონასტერს.

გასაოცარი ადგილია. აქედან ყველაფერი მოსჩანს ირგელივ. მტკვრისა და არაგვის შესართავი, მათი ხეობები ულამაზესი სანახავია ამ სიმაღლიდან. მონასტრის ნაშენი და მისი მხატვრობა კიდევ უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე.

გვითხრეს აქ იდგა ძველად ცეცხლის თაყვანის მცემელ ქართველების კერპი არმაზიო.

გვაგვიანდებოდა და ამასთანავე მცხეთის მონასტრის ნახვაც გვინდოდა, ამიტომ სანახაობით დაკმაყოფილებული დავეშვით ძირს და რამოდენიმე წუთის შემდეგ წეროებივით მივიბაწრებოდით არაგვზე გაკეთებულ საცალფეხო ხიდზე.

არა ნაკლები შთაბეჭდილება დაუტოვებია ჩვენზე მცხეთის უზარმაზარ ტაძარს.

ექსკურსია მეტად ნაყოფიერი შეიქნა. ასეთი კმაყოფილება ძნელად თუ სადმე გვიგრძვნია.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ ექსკურსიის მომწყობი ამხანაგები.

ჩვენ აქ წასვლით ბევრი რამ შევიძინეთ და უმთავრესად კი დაწვრილებით გავეცანით საბჭოთა ხელისუფლების დიდ წამოწყებას, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს ჩვენს ცხოვრებაში.

ურჩევთ ყველა ნაწილებს ინახულონ ზაჰესი და იქ წარმოებული მუშაობა.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

ნაკებულიყავით, ვნახეთ რომ ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი კარვები და იმ ღამეს, წვიმაში მოგვიხდა ღამის გათევა. ამაში ბრალი ედებათ ჩვენი ნაწილის უფროსებს, რადგან არ იყო წინასწარი მზადება საბანაკოთ გასვლისათვის.

ჯერ უნდა მოეწყოთ კარვები და შემდეგ უნდა გასულიყვნენ საბანკოთ.

გაუბიცა.

## ნუ თუ დასაშვებია.!

წასული წლის მაისის რიცხვებში გამოგვიწვიეს წითელ არმიაში. ამ წელშივე რამოდენიმე წითელ-არმიელი გაგვაგზავნეს ქ. მ. დ. ლაზარეთში სანიტრებათ, სადაც ყოველგვარ დავალებებს ვასრულებდით შეძლებისდაგვარად.

1925 წელს, მარტში სათანადო ბრძანების თანახმად ზემოხსენებული ლაზარეთი შეუერთდა სამხედრო ჰოსპიტალს ჩვენ, სამი წითელ-არმიელი გადგვიყვანეს გარნიზონის ამბულატორიის სანიტრებათ.

ამბულატორიის გამგე ექიმი გარსიაშვილი ჩვენ გვავალებს ისეთ საქმეების შესრულებას რომელიც ჩვენ არ გვეხება. 5-6 ვერსის სიშორიდან, გვაზიდინებს გამოხდილ წყალს, ნავთს, სხვა და სხვა სარეცხებს და სხ. ყველა ამაებს ვეზიდებით ზურგით. ამის შესახებ მრავალჯერ მივმართედ ექ. გარსიაშვილს, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია, და ჩვენ ისე გვეპყრობა არა ისე როგორც წითელ-არმიელებს, არამედ როგორც დაქირავებულებს.

ამბულატორიის ფერშალს ბიჩენკოს უთქვამს ამის შესახებ თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის სამნეო ნაწილის უფროსს დანსკოისთვის, რომელსაც უპასუხნია: თუ კი მე წინად ხუთი წელი ვზიდავდი ზურგით გამოხდილ წყალს, ნავთს და სხვა ეხლა მაგენმა ზიდონო.

რაშია საქმე? ნუ თუ დაავიწყდა დანსკოის, რომ ეხლა ძველი დრო აღარ არის. როდესაც ჩვენ ვიყავით ქ. მ. დ. ლაზარეთში არ ყოფილა შემთხვევა რომ რაიმე ნივთი მოგვეტანოს ზურგით.

ნუ თუ შეუძლებელია, რომ ამბულატორიას მისცენ საშუალება ფურგუნით ან ტრამვაით გადმოიტანოს სხვა და სხვა ნივთები.

საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ქ. მ. დივიზიებისაგან ჩვენ ამ აუტანელ მდგომარეობას.

წ. არმ.—ვ. კენჭისპირელი.

## ჩვენს ულუფას არ უნდა ჰყიდდენ.

პირველი ლეგიონის ყველა ასეულებში შემოდის ყოველ დღე ვიღაც მოქალაქე, გვარად სტეფანოვი, გაავსებს ერთ ტომარას წითელი არმიელების ხვედრი პურით და მიეზიდება სახლში.

ხსენებული მოქალაქე ისეა გათამამებული, რომ დაუკითხავათ შემოვა ნაწილში და მონარჩენ პურს ჰყრის ტომარაში. თუ არ იქნა მონარჩენი პური, მაშინ გააღებს შკაფებს, გაავსებს ტომარს პურით და მიეზიდება.

როგორც გამოირკვა მოქ. სტეფანოვს პურის წაღებათ ქონია სათანადო მოწმობა ლეგიონის სამნეო ნაწილიდან. აი მოწმობაც № 1039:

... მიეცა ესე პირველ ქართ. მსრ. ლეგიონის სამნეო ნაწილის მიერ მოქ. სტეფანოვს, მასში რომ მას უფლება აქვს ლეგიონიდან გაიტანოს ყოველ დღე ორ—ორი ვედრა პური ა. წ. 14 მარტიდან 14 აპრილამდე, რასაც ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ვამოწმებ. .. .

მოწმობაზე ხელს აწერენ ვისაც ეკუთვნისთ. ჩვენის აზრით, არავის უფლება არ აქვს გაჰყიდოს წითელი არმიელების ხვედრი პური, მისი ულუფიდან.

მოწმობის თანახმათ მოქ. სტეფანოვს პური უნდა წაეღო 14 აპრილამდე, მაგრამ მას დღემდის თამამად მიაქვს დღეში თითო ტომარა პური. ლეგიონის საბჭომმა და მეთაურმა ამ მოვლენას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და გამოირკვიონ ეს საქმე.

სამხკორი ვესტინგაუზი.

## უცხოეთის არმიებში.

**საჰაერო ფლოტი ეგვიპტისათვის.**

ეგვიპტის მინისტრთა საბჭოს წარედგინა პროექტი სამხედრო და სავაჭრო საჭიროებისათვის ეგვიპტეში საჰაერო ფლოტის ორგანიზაციის შესახებ.

როგორც იტყობინებიან ეს ფლოტი შევა მიმოსვლის მინისტრის უწყებაში და მისი საშვალებით იწარმოებს მგზავრების და საქონლის გადაზიდვა ეგვიპტის სხვა და სხვა კუთხეებში და მეზობელ სახელმწიფოებში.

ფლოტის სამხედრო სექცია შეასრულებს ორ ფუნქციას:

პირველი იქნება სახელმწიფოს საზღვრების დაცვა და მეორე კონტრაბანდისტებთან ბრძოლა.

ქ. გელიოპოლში განზრახულია საავიაციო სკოლის დაარსება, რომელსაც უხელმძღვანელებენ ინგლისელი ინსტრუქტორები.

აეროდრომები აგებული იქნებიან გელიოპოლში და სხვა ქალაქებში, ხოლო 2 საზღვაო აეროდრომი კი ალექსანდრიაში და პორტ-საიდში.

**ინგლისის ჰაეროპლანების დაღუპვა.**

31 აპრილს, ინგლისის ფლოტის მანევრების დროს, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდენ ხმელეთის სამხედრო ძალებიც, ჰაერში შეამჩნიეს ცეცხლ მოდებული ჰაეროპლანი, რომელიც სცდილობდა ზღვის ნაპირზე დაშვებას.

როგორც გამოირკვა ბურუსის გამო ჰაეროპლანი დასჯახებია კლდეს. სამხედრო მფრინავი იქვე დამწვარა, ხოლო ლეიტენანტი და ტელეგრაფისტი მძიმედ არიან დაჭრილი.

მაყურებელთა გადმოცემით ჰაეროპლანი ცდილობდა დაშვებულიყო სოფ. მელხას მოედანზე, მაგრამ ხელი შეუშალა იქ თავმოყრილმა საბარგულეებმა.

სრულიად ალში გახვეულმა ჰაეროპლანმა შესცვალა მიმართულება, უნდოდა სოფელ გარედ დაშვება, მაგრამ უცაბედათ ფრთა გაჰკრა გორაკს და დაეცა ძირს.

**მანევრების დროს უეცარი შეტაკება.**

პირველ მაისს საჰაერო ფლოტის მანევრების დროს ორი ინგლისელი მფრინავები 500 ფუტის სიმაღლეზე უეცრად დაეტაკენ ერთმანეთს და ერთი მათგანი წამსვე ჩამოვარდა ძირს.

მეორე ჰაეროპლანი შეეცადა დაშვებულიყო ძირს, რომლის დროს ის ოდნავ დაზიანდა.

პირველი მფრინავი დაიღუპა, ხოლო მეორე ჰაეროპლანზე მოთავსებული ფრინავები მსუბუქად დაიჭრენ.

## ამბები სოფლებიდან.

**გურჯაანის გლეხკომი.** გურჯაანის გლეხკომმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ ბაზრობაში, კერძო ვაჭრებთან ბრძოლის მიზნით.

**სამშობლოში გაგზავნა.** ფოთის სოც.-უზრ. ინსპექციამ გაგზავნა სამშობლოში 1 აპრილამდე 50 ინვალიდი, რომელთაც ადგილობრივ არავითარი საარსებო წყარო არა ჰქონდათ.

**სათესლე სესხი.** ჭიათურის და საჩხერის აღმასკომებს მიეცათ, პირველს 2 ათასი და მეორეს—1.500 მანეთი, გლეხებისათვის სათესლე სესხის მისაცემათ.

**კინო სოფლად.** ქუთაისის აღმასკომმა მოაწყო სოფლად მოძრავი კინო-თეატრი. სოფლებში გლეხებს უჩვენებენ კინო-სურათებს უფასოთ.

**სეტყვა რაჭაში.** უკანასკნელ დღეებში ზემო რაჭაში მოსულა სეტყვა. ჩამოსულთა სიტყვით სეტყვას არ მოუტანია დიდი ზარალი.

**მერძევეობა.** ჯავახეთში (ახალქ. მაზრა) დაარსდა 10 ახალი მერძევეობის არტელები.

## ახალი ამბები.

**იმ უმუშევარ წითელ-არმიელთა შორის,** რომელნიც აღრიცხული არიან შრომის ბირჟის სამხედრო სექციაში არის 60 პროფკავშირის წევრი.

**ჯანმრთელობის საქმისათვის,** ადგილობრივი ბიუჯეტით გადაწყვეტილია გადაიდოს მთელ რესპუბლიკაში ყოველთვიურათ 271.171 მანეთი.

**მუშაობა ზაჰესში.** ზაჰესში თითქმის უკვე დამთავრდა ხრეშის მოსაყარი სამუშაოები.

**საკრედიტო ამხანაგობანი.** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქართველოში დღემდე გახსნა 126 საკრედიტო ამხანაგობა.

**ცეკავშირის სესია.** 30 მაისს ტფილისში გაიხსნება ცეკავშირის რწმუნებულთა მე-4 სესია.

**სალიანდაგო ზოდები ტრამვაისათვის.** ტრამვაის დირექციამ მიიღო უკვე სალიანდაგო ზოდების პირველი პარტია.

**საკონსერვო ფაბრიკა.** ცეკავშირმა გადასწყვიტა გაიფართოოს საკონსერვო ქარხანა და შეიძინოს ახალი მანქანები.

## მეცნიერება და ტექნიკა

**მკვდარი ქალაქი ხარო-ხოტო.**

1907 წელში ცნობილ მოგზაურმა კაზლოვმა უდაბნო გობში (ცენტრალური აზია) აღმოაჩინა ქვიშით დაფარული მკვდარი ქალაქი ხარო—ხოტო.

გათხრამ, რომელიც მოახდინეს ამ ქალაქში, კაცობრიობას შესძინა მდიდარი ბიბლიოთეკა 2000 ტომი წიგნით, მონგოლების ღმერთის ბუდის სტატუები, ფაიფურის, ბრინჯაოს და ვერცხლისაგან გაკეთებული ჭურჭლები და სხვა.

სურათები და წიგნები მშვენივრად არიან შენახული, მიუხედავათ იმისა, რომ მიწის ქვეშ იყვენ მოქცეული ორი ათას წელზე მეტი.

ამნაირად აღმოჩენილი იქნა მონგოლეთის ძველი სატახტო ქალაქი, რომელშიდაც სცხოვრობდა ბუდდის სარწმუნოების მიმდევარი უძველესი ხალხი „სისია“.

სატახტო ქალაქს უწოდებდენ ხარო—ხატოს, რაც იმ უძველესი ხალხის ენაზე ნიშნავს მკვდარ ქალაქს.

იქ აღმოჩენილმა საგნებმა შეადგინეს იშვიათი კოლექცია და საშვალება მისცა მეცნიერებს დაწვრილებით შეესწავლათ ძველი აღმოსავლეთის ქალაქის კულტურა.

1924 წლის თებერვალში ამავე კაზლოვმა, მის მიერ მოწყობილი ექსპედიციით, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებიდან, „მონგოლეთში აღმოაჩინა კიდევ ერთი ადგილი, რომელიც დაფარული იყო ხშირი ბორცვებით—ამაღლებული ადგილებით.

ამ ადგილმდებარეობის გათხრის დროს 8 საჟენის სიღრმეზე აღმოჩენილი იქნა უძველესი საფლავები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ერთმანეთში მოთავსებულ ხის სახლებს. საფლავებში აურება ხის და თიხისაგან დამზადებული ჭურჭლეულობა, სხვა და სხვა ლითონები და ოქრო, ქვები ხალიჩები და სხვა საყურადღებო საგნები იქნა აღმოჩენილი.

მეცნიერების აზრით ამ საფლავებისა და იქ აღმოჩენილ საგნებს უკან 2.000 წელზე მეტი იმალება.

ყველა აღმოჩენილი საგნები გადატანილია ამ ჟამად ლენინგრადში და გამოფენილია რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

**ქართოფილისა და ნიორის სამკურნალო თვისება.**

ინგლისელ მეცნიერებმა ქართოფილისა და ნიორისაგან დაიწყეს ცნობილი ახალი სამკურნალო საშვალების—ინსულინის დამზადება, შაქრის ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ასეთი აღმოჩენა ძლიერ გააიაფებს ამ ძვირფას პრეპარატს, რომელიც აქამდე მზადდებოდა მხოლოდ ცხოველების კუჭქვეშა ჯირკვალის სითხისაგან.

ინსულინი აღმოჩენილი იქნა პირველად ამერიკელი ექიმების მიერ და წარმოადგენს მოთეთრო-ყვითელი ფერის ფხვნილს, რომელსაც აზავებენ წყალში და ისე უშხაპუნებენ კანქვეშ შაქრის ავადმყოფობით დაავადებულს.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე


## განცხადებები

### 1-ლი და მე-2-ე ქართულ დივიზიების მეთაურთა და პოლიტხელთა საყურადღებოთ.

ქ. ტფილისში გახსნილია ცენტრალურ სამხედრო გაზეთის „კრასნაია ზვეზდა“-ს გამომცემლობის ამიერ-კავკასიის განყოფილება.

**მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდა“-ზე და სამხედრო პოლიტიკურ ჟურნალ „სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა“-ზე. (პოლიტ-მომუშავის თანამგზავრი“)**

**ხელის მოწერის ფასი.**

„კრასნაია ზვეზდა“ 1——თვეში———1 მანეთი
2———————2„ 90 კაპ.

„სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა“
1————————80 კაპ.
3————————2 მან. 30 კ.

**განყოფილებასთან გახსნილია აგრეთვე სპეციალური სამხედრო წიგნების მაღაზია.**

**ყოველდღიური მიღება ახალი წიგნების ყველა საკითხებზე. სამხედრო ნაწილებს ეძლევათ შეღავათი და ნისიად.**

**მისამართი: ქ. ტფილისი, თავისუფლების (ყოფ. ერევნის) მოედანი № 3.**


## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ მსრ. ლეგიონის მეშვიდე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ უპარტიო ამხანაგებს: 1. ოთარიშვილი ნიკოლოზი იოსების ძე (გორის მაზრა სოფ. ქვემო ჭალა) და 2. ვაშაყმაძე გერმანე პეტრეს ძე, (ოზურგეთის მაზრა).

თუ ვინმემ უარყოფითი მხარეების შესახებ იცით ზემოხსენებულ ამხანაგების გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერათ.

**ქ. თბილისი 1-ლ ქართულ მსრ. ლეგიონი მე-7-ე ასეულის კომუჯრედში.**

**კომუჯრედის პას. მგებ. მდივანი ა. ოდიშარია.**

## უწყება.

ა. წ. 23 მაისს, დილის 10 საათზე, დანიშნულია 1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისიის სხდომა (ევანგულოვის ქუჩა № 2), რომელზედაც საჭიროა გამოცხადდენ პარტკომისიის ყველა წევრები და კანდიდატები, აგრეთვე ქვემო ჩამოთვლილი პირებიც.

საარტილერიო ლეგიონიდან:

1. ჩაჩავა კლიმენტი.
2. პოპოვი ბორის.
3. ბახტაძე იაკობი.

სამხ. პოლიტ. სკოლიდან:

1. ურუშაძე—2. მაღალაშვილი.

1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისია.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.